



## საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის



KA060127584994915

### ბრძანება №-388

ქ. თბილისი

08 / ივნისი / 2015 წ.

შპს „კასლეთი 2 ჰესი“-ს მდ. კასლეთზე 9.13 მგვტ დადგმული სიმძლავრის კასლეთი 2 ჰესის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 26; (04.06.2015 წ) მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ შპს „კასლეთი 2 ჰესი“-ს მდ. კასლეთზე 9.13 მგვტ დადგმული სიმძლავრის კასლეთი 2 ჰესის განთავსებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „კასლეთი 2 ჰესმა“ უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით ( № 26; 04.06.2015 წ) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კასლეთი 2 ჰეს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კასლეთი 2 ჰესი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი; მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილი ( № 314; 11.05.2015 წ); ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№26; 04.06.2015 წ)

მინისტრი

გიგლა აგულაშვილი





საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6ა, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის  
დასკვნა პროექტზე

№ 26

4 ივნისი 2015 წ

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება - მდ. კასლეთზე ჰიდროელექტროსადგურის (9.13 მგვტ დადგმული სიმძლავრის კასლეთი 2 ჰესი) განთავსება
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი - შპს „კასლეთი 2 ჰესი“. ქ. თბილისი, ნავთლუღის ქ. №3ა
3. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა - მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა წვირმინდი, სოფ. ქვედა წვირმინდი
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი - 21.06.2015 წ.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ - შპს „გამა კონსალტინგი“

## II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

კასლეთი 2 ჰესის მშენებლობა დაგეგმილია მესტიის მუნიციპალიტეტის ხაიშის თემის საზღვრებში, სოფ. ზედა და ქვედა წვირმინდს შორის.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილია, შპს „კასლეთი 2 ჰესი“-ს მდ. კასლეთზე „კასლეთი 2“ ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში.

### გზშ-ს ანგარიშის თანახმად:

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშში განხილულია შემდეგი ალტერნატიული ვარიანტები:

- არაქმედების ალტერნატივა;
- ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების ალტერნატივა
- პროექტის სხვა ალტერნატივები.

საპროექტო კასლეთი 2 ჰესი წარმოადგენს მცირე სიმძლავრის მდინარის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესს, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რეგიონის ენერგოსისტემაში დამატებითი ენერჯის მიწოდების და მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. დაგეგმილი ჰესის მშენებლობას თან ახლავს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზემოქმედებები. მათი შედარების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ჰესის მშენებლობა და ოპერირება გაცილებით მნიშვნელოვან სარგებელს გამოიწვევს, ვიდრე პროექტის არაქმედების ალტერნატივა და იგი უგულვებელყოფილი იქნა.

სათავე კვანძის ადგილმდებარეობა შერჩეული იქნა ორი ალტერნატიული ვარიანტის შედარების საფუძველზე. წარმოდგენილი ვარიანტები თითქმის იდენტურია და მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ ფიქსირდება გარემოზე ზემოქმედების კუთხით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მეორე ალტერნატივა იქნა შერჩეული.

განხილულია ძალური კვანძის (ჰესის შენობა) განლაგების ორი ალტერნატიული ვარიანტი:

- ჰესის შენობის დადგმა მდინარის მარჯვენა ნაპირზე;
- სადაწნეო მილსადენის ბოლო მონაკვეთის გადმოტანა მარჯვენა ნაპირიდან (მდინარის გადაკვეთა) და ჰესის შენობის დადგმა მარცხენა ნაპირზე.

ამ შემთხვევაში არჩევანი გაკეთებული იქნა გეოლოგიური კვლევების საფუძველზე. ანგარიშის მიხედვით სადაწნეო მილსადენის დერეფნის ბოლო მონაკვეთი (დაკვირვების წერტილი 351) ხასიათდება რთული გეოლოგიური აგებულებით. გამომდინარე აღნიშნულიდან, უპირატესობა მიენიჭა მეორე ვარიანტს. მილსადენის ტრასა ბოლო მონაკვეთზე გადაკვეთს მდინარეს, გადმოვა მარცხენა ნაპირზე და ჰესის შენობა მოეწყობა გეოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით მდგრად ტერიტორიაზე.

პროექტის სხვა ალტერნატივებიდან წარმოდგენილია სადაწნეო მილსადენისა და ტურბინების ალტერნატიული ვარიანტები.

მილსადენის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭა კომბინირებული სქემას - 2 კმ-იან მონაკვეთზე GRP მილებისა და ბოლო მონაკვეთზე მაღალი გამძლეობის ფოლადის მილების გამოყენებას.

პელტონის ტიპის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ტურბინებს შორის არჩევანის გაკეთებისას უპირატესობა მიენიჭა პირველ მათგანს, ვინაიდან მისი სამონტაჟო, ტექნომსახურებისა და საექსპლუატაციო სამუშაოები გაცილებით მარტივი და მოსახერხებელია.

პროექტის მიხედვით სათავე კვანძი მოეწყობა ზ. დ. 1035,5 მ ნიშნულზე. წყალმიმღები წარმოადგენს ტიროლის ტიპის მონოლითური რკინაბეტონის ნაგებობას ფსკერული წყალსაშვით, მისი სიგრძეა 15 მ. სიმაღლე მიწის ზედაპირიდან - 7 მ, ხოლო საძირკვლის ჩათვლით 10,15 მ. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება 67,6 მ სიგრძის და 2 მ სიგანის თევზსავალი. თევზსავალის ჩრდილოეთით მდებარეობს 32 მ სიგრძის და 7,0 მ სიმაღლის დატკეპნილი უკუყრილის დამბა ზედა ბიეფში წყლის დონის შექმნის მიზნით (სიმაღლე ფუნდამენტიდან - 10,15 მ). რეზერვუარში წყლის ნორმალური საოპერაციო დონე იქნება - 1038,0 მ. წყალმიმღების სამხრეთით მდებარეობს 40 მ სიგრძის ორკამერიანი სალექარი, სიგანით 10 მ და სიმაღლით 5 მ, რომელიც ბოლოვდება გამრეცხი ხვრეტით. სალექარის დასავლეთით კი მდებარეობს 10 მ სიგრძის ე.წ. ავანკამერა, სიგანით 5 მ, სიმაღლით 4 მ. სალექარი აღჭურვილი იქნება შესაბამისი ავარიული წყალსაგდებით, რომელიც ავარიულ სიტუაციებში უზრუნველყოფს წყლის ნაკადის გადაღვრას სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში. დაახლოებით 2,5 კმ სიგრძის სადაწნეო მილსადენი განლაგდება სათავე კვანძსა და ძალურ კვანძს შორის. იგი წარმოადგენს მიწისქვეშა სადაწნეო ტრაქტს, რომელიც მიუყვება არსებულ საავტომობილო გზას და მდინარეს კვეთს ოთხ ადგილზე. მილსადენის საწყისი 2 კმ-იანი მონაკვეთი, რომელიც მოეწყობა GRP მილებით, გაყოფილია ორ ტოლ ნაწილად: პირველი მონაკვეთის დიამეტრია 1200 მმ, ხოლო მეორის 1100 მმ. ბოლო, დაახლოებით 450 მ-იანი მონაკვეთი მოეწყობა ST52 ტიპის, 1100 მმ დიამეტრის ფოლადის მილებით, სისქით -18 მმ. სადაწნეო მილსადენის ძირითადი ნაწილის განთავსება ხდება არსებული გრუნტის გზის გასწვრივ, მილის ზედა კიდის ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან იქნება საშუალოდ 1,5 მ. მიწისზედა ჰესის შენობა განლაგდება ზ.დ. 710 მ სიმაღლეზე. იგი წარმოადგენს მონოლითური რკინა-ბეტონის ერთ სართულიან კონსტრუქციას, რომელიც შედგება ორი კონსტრუქციულად დამოუკიდებელი ნაგებობისგან. პირველი ძირითადი ნაგებობა მოიცავს სამანქანო დარბაზს და ქვესადგურს, ხოლო მეორე - მართვის ოთახს, სახელოსნოს, სამზარეულოს და ა.შ. მისი ფასადები მოეწყობა ე.წ. სენდვიჩ-პანელებით. შენობის გეომეტრიული ზომებია - სიგრძე 35 მ, სიგანე 20 მ, სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 15 მ, სიმაღლე საძირკვლის ჩათვლით 21 მ. შენობაში მოეწყობა ორი ერთეული პელტონის ტიპის ჰორიზონტალური ტურბინა. თითოეულის სიმძლავრე - 4,57 მგვტ, საანგარიშო ხარჯი - 3,5 (2 × 1,75) მ<sup>3</sup>/წმ. ჰესის ნამუშევარი წყალი გაყვანილი იქნება რკინაბეტონის გამყვანი არხით, რომელიც მდ. კასლეთს შეუერთდება მარცხენა სანაპიროდან. გამყვანი არხის სიგრძეა 20 მ. გამომუშავებული ელექტროენერგია მიეწოდება 6.3/35 კვ საპროექტო ქვესადგურს, რომელიც განლაგდება ჰესის შენობაში. ქვესადგურიდან ელექტროენერგია გადაცემული იქნება 35 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით. მშენებლობის ეტაპზე დასაქმდება დაახლოებით 70 ადამიანი, რომელთა დიდი ნაწილი ადგილობრივი

მოსახლეობა იქნება. ჰესი იმუშავებს 24 საათიან რეჟიმში, წელიწადში 365 დღის განმავლობაში. ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებულთა რაოდენობა იქნება დაახლოებით 15 კაცი.

სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკისა და ადგილობრივი რელიეფური პირობების გათვალისწინებით სხვადასხვა სამუშაოები საშუალებას იძლევა პარალელურ რეჟიმში განხორციელდეს. ჰესის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა დაახლოებით 2 წელიწადია (24 თვე). რთული კლიმატური პირობების გათვალისწინებით სამუშაო დღეთა რაოდენობად მიღებულია 250 დღე/წელ.

წარმოდგენილია სამშენებლო ბანაკის განთავსებისთვის სავარაუდო ტერიტორიის აღწერა, რომელიც დაზუსტდება მშენებელი კონტრაქტორის მიერ. სამშენებლო ბანაკის შემადგენლობაში შევა შემდეგი დროებითი ინფრასტრუქტურული ობიექტები: ავტოსადგომი; სასაწყობო მეურნეობა (მათ შორის სახიფათო ნარჩენების განთავსების სათავსი); წყლის რეზერვუარები; ადმინისტრაციული და მუშათა მოსასვენებელი ობიექტები (კონტეინერული ტიპის); მექანიკური საამქრო და სხვ.

მდ. კასლეთის მარცხენა ნაპირზე, შედარებით ვაკე ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია სამშენებლო ბაზის მოწყობა, სადაც განთავსდება ბეტონის კვანძი, ავტოსადგომი და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა.

სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოყენებული იქნება არსებული გზების ინფრასტრუქტურა, თუმცა საჭიროა სამშენებლო მოედნებამდე დროებითი გზების მოწყობაც. საჭიროების შემთხვევაში არსებული გზებისთვის დაგეგმილია სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. სამუშაოების დასრულების შემდგომ დროებით გზებზე განხორციელდება სარეკულტივაციო სამუშაოები.

წყლის გამოყენება დაგეგმილია როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პერიოდში. მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკური წყალი ტუმბოს გამოყენებით აიღება მდ. კასლეთიდან. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის კი მიმდებარე ტერიტორიაზე წყაროს წყლებიდან. სამშენებლო ბაზაზე განთავსდება რეზერვუარები აღნიშნული წყლების მარაგის შექმნისთვის. გათვალისწინებულია აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისათვის წყლის შეგროვება 20 მ<sup>3</sup> ოდენობის რეზერვუარში.

ექსპლუატაციის ეტაპზე მოხდება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო წყლების გამოყენება ზემოთ აღნიშნული წყაროს წყლებიდან.

ჩამდინარე წყლების შეგროვებისათვის დაგეგმილი ამოსანიჩხი ორმოების მოწყობა, რომლის პერიოდულად გატანაც განხორციელდება სპეციალური ავტომობილებით ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილია დაგეგმილი ჰესის ადგილის გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოიცავს: ჰესის განთავსების რაიონის დახასიათებას; კლიმატის და მეტეოროლოგიური პირობების შესახებ ინფორმაციას; გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ პირობებს; ჰიდროლოგიას; ნიადაგებისა და ძირითადი ლანდშაფტების შესახებ ინფორმაციას; ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ფონური მდგომარეობას; ბიომრავალფეროვნებას (ფლორა, ფაუნა, იქტიოფაუნა); დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციას და სოციალურ ასპექტებს (სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, კულტურული მემკვიდრეობა).

მშენებლობის პერიოდში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით არ იქნება მნიშვნელოვანი. ექსპლუატაციის ეტაპზე ჰაერის დაბინძურებას ადგილი არ ექნება, შესაბამისად ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელია, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზეც. მშენებლობის პერიოდში ხმაურის ძირითადი წარმომქმნელებია მანქანა/დანადგარები და მცირე მოცულობის ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები, რომელთა შემარბილებელი ღონისძიებებიც აღწერილია ანგარიშში.

ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურწარმომქმნელი მხოლოდ ტურბინები, ჰესის შენობის და აგრეთვე შიდა ინტერიერის ხმაურდამცავი მასალებით გამოყენების გათვალისწინებით ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

მომსახურე პერსონალისთვის დაგეგმილია შესაბამისი ხმაურდამცავი მოწყობილობებით აღჭურვა, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის პერიოდში.

საპროექტო დერეფანი გადის საკმაოდ რთულ გეოლოგიურ პირობებში. უბანზე, სადაც ნავარაუდევია სათავე კვანძის და სადაწნეო მილსადენის საწყისი ნაწილის მოწყობა, განვითარებულია ძველი მეწყერი, რომლის სიგანე 30-35 მ-ია. მეწყრული სხეული ამჟამას სტაბილურია, თუმცა გათვალისწინებული შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

საკვლევ დერეფანში გამოვლინდა აგრეთვე ორი რთული უბანი, სადაც აუცილებელია შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება. ეს უბნებია:

- X - 272668. Y - 4757849. Z - 876. წარმოდგენს ყველაზე რთულ მონაკვეთს, იგი დაახლოებით 50 მ მანძილზე გრძელდება. წარმოდგენილია ბრექჩია-კონგლომერატებით და ხშირ შემთხვევაში ლოდის ზომები აღემატება 1 მ-ს. აუცილებელია მაქსიმალური სიფრთხილით ამ ლოდების ჩამოშლა. ფერდობს უნდა მიეცეს გარკვეული დაქანება და უნდა გაკეთდეს დამცავი ჯებირი. პრევენციული ღონისძიებების გატარების გარეშე ტექნიკის ამ მონაკვეთზე მოქმედება გამოიწვევს მთლიანი ფერდობის ჩამოშლას.
- X - 271889. Y - 4757837. Z - 733. უბანზე ხეობა ვიწროვდება და მარჯვენა ნაპირი მთლიანად ლოდნარით არის აგებული. გაშიშვლება წარმოდგენილია წვრილ-მარცვლოვანი შავი და მონაცისფრო ტუფო ბრექჩიებით, რომელიც ძლიერ გაკვარცხულია. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის რეკომენდაციების გათვალისწინებით გათვალისწინებულია მილსადენის მარცხენა ნაპირზე გადმოტანა, რომელიც მიუერთდება ამავე ნაპირზე გათვალისწინებულ ჰესის შენობას.

სხვა მნიშვნელოვანი გეოლოგიურად აქტიური უბანი არ დაფიქსირებულა.

ექსპლუატაციის ეტაპისათვის ძირითადად სენტიური - დერივაციის მონაკვეთია. სადაწნეო მილსადენის განთავსების დერეფანში გრუნტების ჩამოქცევა-ჩამონგრევის პროცესებმა შესაძლოა რამდენიმე წელიწადს გასტანოს (სანამ არ მოხდება მცენარეული საფარის განვითარება და გრუნტების სტაბილიზაცია). პროცესების შეჩერების და მილსადენის დერეფნის (მასთან ერთად მის პარალელურად გამავალი გრუნტის გზის) დაცვის მიზნით საჭიროების შემთხვევაში გატარებული იქნება შესაბამისი ღონისძიებები

(მაგ. განსაკუთრებით სახიფათო უბნებზე, არხის ზედა ფერდობების გასწვრივ დამცავი ბადეების მოწყობა, ან ფერდობების დატერასება). თუმცა აღსანიშნავია, რომ მილსადენი იქნება მიწისქვეშა და მისი დაზიანების რისკები იქნება მინიმალური.

ზედაპირულ წყალზე ზემოქმედება მოსალოდნელია მდ. კასლეთის დებიტის კლებით. საშუალო წლიური ხარჯი შეადგენს 3.02 მ<sup>3</sup>/წმ-ში, ხოლო ეკოლოგიურჯი იქნება 0.32 მ<sup>3</sup>/წმ-ში (დაახლოებით 10 %). გასათვალისწინებელია, ისიც, რომ გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში წყალუხვობის პერიოდში საშუალოდ 20 %-ზე მეტი წყალი გაივლის დერივაციის მონაკვეთზე.

ექსპლუატაციის ეტაპზე გარკვეულწილად შეიზღუდება ნატანის მოძრაობაც. იმის გათვალისწინებით, რომ კაშხალი დაბალზღურბლიანია, წყალუხვობისას აღნიშნული ნატანის ქვედა ბიეფში გატარება განხორციელდება თავისუფლად. შესაბამისად ზემოქმედების მასშტაბები არ არის მნიშვნელოვანი.

მოსალოდნელია გრუნტის წყლებზე ზემოქმედება ჰესის შენობისა და კაშხლის მშენებლობის პერიოდში, თუმცა დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ექსპლუატაციის ეტაპზე გრუნტის წყლებზე ზემოქმედების შესარბილებლად განსაზღვრულია ეკოლოგიური ხარჯის მონიტორინგი.

საპროექტო დერეფანში ზემოქმედების ფარგლებში მოყვება სამი მაღალსენსიტიური და ექვსი საშუალო სენსიტიური ადგილი, ასევე ზემოქმედების ფარგლებში ექცევა საქართველოს წითელი ნუსხის მცენარეთა ორი სახეობა: ჩვეულებრივი წაბლი და კაკლის ხე, რაც მაღალ ზემოქმედებად უნდა ჩაითვალოს. (საპროექტო დერეფანში მოჭრას დაქვემდებარებული მცენარეული საფარის დეტალური სატაქსაციო აღწერა ჩატარებული იქნება სპეციალური ტყით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად საჭირო დოკუმენტაციის მომზადების ფარგლებში).

დეტალური ზოოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა 3 მაღალი მგრძობელობის უბანი, სადაც მოსალოდნელია წითელი ნუსხის სახეობებზე (მურა დათვი, წავი, ხელფრთიანები და ბუკიოტები) ზემოქმედება. ანგარიშში წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში ფაუნის წარმომადგენლებზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. მშენებლობის ეტაპზე მოხდება მათი მხოლოდ დროებითი შეშფოთება.

ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში ზემოქმედება მოსალოდნელია იქტოფაუნაზე, რომლის ძირითადი შემარბილებელი ღონისძიებებია:

- საფეხურებიანი თევზსავალის მოწყობა;
- ეკოლოგიური ხარჯის გატარება (მინიმუმ 0.32 მ<sup>3</sup>/წმ);
- ეკოლოგიური ხარჯი ქვედა ბიეფში გატარებული იქნება თევზსავალის საშუალებით; წყალმიმღებზე მოეწყობა თევზამრედი მოწყობილობა;
- იქტოფაუნისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის მიზნით საქმიანობის განმახორციელებელი (შპს „კასლეთი 2 ჰესი“) იღებს ვალდებულებას ექსპლუატაციის ეტაპზე ყოველწლიურად კალმახის 10 000 ცალი ლიფსიტა და თევზის აღწარმოების მიზნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი



რესურსების დაცვის სამინისტროს თანამშრომლების თანდასწრებით გაუშვას კაშხლის ზედა ბიეფში;

- ოპერირების დაწყებიდან პირველი 2-3 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება იქთიოფაუნის სახეობების მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დასახვის მიზნით;
- საქმიანობის განმახორციელებელი ჰესის ექსპლოატაციაში გაშვებამდე სამინისტროში წარმოადგენს იქთიოფაუნაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო პაკეტს შესათანხმებლად.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანება და სტაბილურობის დარღვევა ძირითადად მოსალოდნელია მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოების დროს, რაც დაკავშირებული იქნება ჰესის ინფრასტრუქტურის განთავსების ფარგლებში ტექნიკის გადაადგილებასთან, მიწის სამუშაოებთან, დროებითი და მუდმივი ინფრასტრუქტურის მოწყობასთან და ასევე გამონამუშევარი ქანების საბოლოო განთავსებასთან. ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედება არ იქნება მოსალოდნელი. აღნიშნულის გათვალისწინებით ანგარიშში წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება მოსალოდნელია, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებზე. დაგეგმილია შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება:

- როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მუდმივი ნაგებობების ფერის და დიზაინის შერჩევა მოხდება ისე, რომ შეხამებული იყოს გარემოსთან;
- დროებითი კონსტრუქციების, მასალების და ნარჩენების განთავსებისთვის შემდგომი დაგვარად შერჩეული იქნება შეუმჩნეველი ადგილები;
- როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე დაცული იქნება სანიტარულ-ეკოლოგიური პირობები;
- სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ჩატარდება სარეკულტივაციო სამუშაოები (განსაკუთრებით სამშენებლო ბანაკის და ფუჭი ქანების სანაყაროს ფარგლებში);
- მშენებლობის დასრულების შემდგომ ძალური კვანძის ირგვლივ მოხდება კულტურული და დეკორატიული ხე-მცენარეების დარგვა-გახარება.

გზშ-ს ანგარიშს თან ახლავს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის სახიფათო, არასახიფათო და ინერტული ნარჩენების მართვის საკითხებს.

საპროექტო ჰესის ჰიდროტექნიკური ნაგებობები განთავსებული იქნება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე. მათ შორის დერეფნის უდიდესი ნაწილი ხვდება სატყეო ფონდის ფარგლებში. აღნიშნული საკითხის დარეგულირება დაგეგმილია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-სთან.

აღწერილია სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედებები და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები.

ჰესის კომუნიკაციების დერეფანი არ გაივლის მოსახლეობის კერძო საკუთრების მიწებზე. შესაბამისად კერძო ნაკვეთებზე ან ქონებაზე ნეგატიური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

წარმოდგენილია ჰესის მშენებლობის და ოპერირების პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმები, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებისთვის.

ასევე წარმოდგენილია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, როგორც მშენებლობის, ასევე ოპერირების ეტაპისთვის.

გზშ-ს ანგარიშს თან ახლავს შესაძლო ავარიული სიტუაციები და მოსალოდნელი შედეგები.

გზშ-ს ანგარიშს თან ახლავს საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის III თავს.

## II. პირობები

### საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

1. უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, შემარბილებელი ღონისძიებების გეგმების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
2. ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყოს სათავე ნაგებობების ზედა ბიეფში ღვარცოფმარეგულირებელი ნაგებობის მოწყობა;
3. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღებიდან 3 თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოადგინოს ბუნებრივი კატასტროფების პრევენციული ღონისძიებებისა და ავარიებზე რეაგირების სამოქმედო გეგმები, სადაც გათვალისწინებული იქნება ბუნებრივი პროცესებით გამოწვეული მოვლენები და შესაბამისი მონიტორინგი;
4. გრუნტის წყლების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს გრუნტის წლის დონეებისა და შემადგენლობის მონიტორინგი;
5. ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებამდე მოაწყოს მდინარის წყლის ჩამონადენის სტაციონარული დონემზომი სადგური (კაშხლის ქვედა ბიეფებში), განახორციელოს აღნიშნული კვლევის ყოველდღიური შედეგების საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა კვარტალში ერთხელ;
6. ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს სასმელ-სამეურნეო წყლების უსფრთხო მართვა, შესაბამისი ნორმების დაცვით;
7. უზრუნველყოს იქტიოფაუნაზე დაგეგმილი ზემოქმედების საკომპენსაციო ქმედების (მდინარის ზედა ბიეფში 10000 კალმახის ლიფსიტის გაშვება) განხორციელება მხოლოდ ადგილობრივი ჯიშის კალმახის გამოყენებით;
8. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების საკითხებში გაითვალისწინოს აღნიშნულ შემარბილებელ ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი;
9. ვინაიდან, მნიშვნელოვანი ზემოქმედებაა მოსალოდნელი წითელი ნუსხის სახეობებზე (წავი, დათვი), დაგეგმილი მონიტორინგის შედეგად დადგენილი საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს დამატებითი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები;
10. წითელი ნუსხის სახეობების ჭრის შემთხვევაში ქმედებები განახორციელოს საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად;
11. სამშენებლო სამუშაოების დასრულებისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

#### IV. დასკვნა

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი, შპს „კასლეთი 2 ჰესი“-ს მდ. კასლეთზე 9.13 მგვტ დადგმული სიმძლავრის კასლეთი 2 ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობებით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების  
დეპარტამენტის უფროსი

თამარ შარაშიძე

(სახელი, გვარი)

*A. Sharashidze*

(ხელმოწერა)





## საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

### ბრძანება N 2-970

23/10/2020

ქ. თბილისი

#### **შპს „კასლეთი 2“-ის მდ. კასლეთზე ჰიდროელექტროსადგურის (9,13 მგვტ დადგმული სიმძლავრის კასლეთი 2 ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

2020 წლის 9 ოქტომბერს სამინისტროს მომართა შპს „კასლეთი 2“-ის დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „კასლეთი 2“-ის მდ. კასლეთზე ჰიდროელექტროსადგურის (9,13 მგვტ დადგმული სიმძლავრის კასლეთი 2 ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №26 (04.06.2015) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნასა და ბრძანებაში შპს „კასლეთი 2“-ის ნაცვლად მითითებულია შპს „კასლეთი 2 ჰესი“, რაც საჭიროებს შესწორებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2015 წლის №26 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „კასლეთი 2 ჰესი“-ს მდ. კასლეთზე 9,13 მგვტ დადგმული სიმძლავრის კასლეთი 2 ჰესის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 8 ივნისის №ი-388 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2015 წლის №26 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „კასლეთი 2“-ის მდ. კასლეთზე ჰიდროელექტროსადგურის (9,13 მგვტ დადგმული სიმძლავრის კასლეთი 2 ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №26; 04.06.2015);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „კასლეთი 2 ჰესი“-ს მდ. კასლეთზე 9,13 მგვტ დადგმული სიმძლავრის კასლეთი 2 ჰესის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 8 ივნისის №ი-388 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კასლეთი 2“-ს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კასლეთი 2“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი